სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

16 იანვარი 2024

N 21/300

შპს „რუსელოისს“
მის: ქ. თბილისი, ბროსეს ქუჩა №2
ელ. ფოსტა: info@rusalloys.ge
archilkhatiashvili@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №12149 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან (69 მ) მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 62 დბა-ს. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ხმაურის წყაროების უმეტესი ნაწილის დახურულ შენობებში განთავსებისა და საწარმოს მიმდებარედ არსებული ბარიერების (შენობა-ნაგებობები და ბეტონის ღობე) გათვალისწინებით, უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შემცირდება 18-20 დბა-თი. ვინაიდან, საწარმო ფუნქციონირებს 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონის „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებთან თავსებადობის საკითხი. ამასთან, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მიმდებარედ არსებულ საწარმოებთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი;
- სკრინინგის განცხადების 3.1 თავში („ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიება“) აღნიშნულია, რომ გაფრქვევის წყაროების დასახელებები და დახასიათება მოცემულია ცხრილში 3.1-ში, თუმცა, დოკუმენტში აღნიშნული ცხრილი წარმოდგენილი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო